



ISSN 0132-6015

ქართული  
წიგლიეროთქმის  
ზინალიონი

№ 2

0153160

1986


# მეფიქი

ირწევა ჩენი წინსვლის აკვანი,  
ოცდამეშვიდე ყრილობას

ვხვდებით  
წარმატებებით ახალ-ახალით  
და სასიკეთო ახალი ძერებით!  
გმირულად შრომობს ქართველი  
ხალხი,  
გმირული შრომა გვირგვინად  
ადგას,  
მეგრამ ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს  
ნაკლი,  
მე აქ ჩამოვთვლი ზოგიერთ  
მათვანს:

(დასასრული იხ. მე-2 გვ.)

საქართველოს  
წიგლიეროთქმის  
XXVII  
ყრილობა



ზოგან ისეთი ამბავი ხდება,  
როგორც ფილმში — „ცისფერი მთები“!..  
დანაშაული არის სიმთვრალე! —  
ეს იცის ზოგმა და მაინც თვრება!  
ხალხმრავალ ქელესს, ხალხმრავალ ქორწილს  
ყოველთვის მოაქვს ყოველი ავი!..  
დანებითა და ნამგლებით რომ ვჭრით  
ჩაის, მაშინაც გვეჭრება თავი!  
ზოგი ნაწარმის უხარისხობა  
მყიდველს უკარგავს შეძენის ხალისს,  
რადგან ხარისხის საკითხი ზოგან  
მეორეხარისხოვანი არის!..  
ზოგან პედანტი (ასოკირკიტა)  
უფროსი დევნის, ახშობს კრიტიკას!..  
ზოგი კი კერძომესაკუთრება,  
ნივთომანიით გამოიფიტა!..  
ზოგი ქედმაღლობს თანამდებობით,  
არის ყოყონა, არის თავხედი,  
არვის უჯერებს, არვის ენდობა,  
ამქვეყნად მართო თავის თავს ხედავს!  
ზოგს, — ვინც უშრომლად ათენ-ალამებს  
და თავს ვინც მშრომელ კაცად ასაღებს, —  
საიდან, როგორ, ავტომანქანა?!  
საიდან, როგორ, სახლი — სასახლე?!  
პირმოთნეობის, მამებლობის  
ჭაობში ზოგი სულ მთლად ეფლობა!..  
წამატება და თვალისახვევა! —  
სხვა მიზნებს ზოგან არ ისახავენ!  
ზოგი მოხსნილს და დაჭერილს იცავს,  
რომ ამაშიაც ნახოს ხეირი,  
და აღწევს ზოგჯერ სასურველ მიზანს,  
დაიარება გულარეინი!..  
ნუ ვივლით ქვეყნად გზებით იოლით,  
მედგრად ვებრძოლოთ ქრთამს — „ძღვენს  
საცოდავს“,  
მომხვეჭელობას, პროტექციონიზმს  
და კომერციულ შუაგობას!  
ზომა ვიცოდეთ (ნამეტანს ვშვრებით!),  
უღირს ხელმძღვანელს ნუ ვუძღვნით ოდებს,  
ვემობდეთ ხელოვნურ გაბერვას შეფის  
და „ადგილობრივ ბელადიზმს“ ვემობდეთ!  
სიმართლე ვუთხრათ ერთმანეთს პირში  
და საბოლოოდ მოვეშვათ ლიქნას,  
დაე, ზიზღს გვეკვირდეს ხსენება მისი,  
საკმარისია, რაც ლიქნამ გვიქნა!  
ყველა სიძნელეს უნდა გავუძლოთ!  
უკანონობას ავხადლოთ ფარდა!  
ბოროტებაზე, დანაშაულზე  
თვალის დახუჭვის უფლება არ გვაქვს!  
ის, რაც ხელს გვიშლის ახლა წინსვლაში  
და რასაც ყავლი უკვე გასვლია,  
დავძლიოთ, დავგმოთ მთელი სიმკაცრით,  
რწმუნის აბჯარი რადგან გვაცვია!  
ვესწრაფვით ქვეყნად მშვიდობას მუდმივს!  
ზეცად ვმადლდებით, ვხარობთ, ვენთებით  
ოცდამეშვიდე ყრილობის შუქით  
და საყრილობო დოკუმენტებით!



# ზოგი-ასმა



## ზოგი-ისე!

- **ზოგი** იზიდავს, ზოგს იზიდავენ, ზოგი ეზიდება, ზოგს უზიდავენ, ზოგს არავენ ეზოგება.
- **ზოგი** ზრდილია, ზოგი — უზრდელი, ზოგი გასაზრდელია, ზოგი — გასაროზგი.
- **ზოგს** ზურგი აქვს, ზოგს — ზურგიელი, ზოგი მახავს, ზოგი გოზავს, ზოგი დაუზოგავია.
- **ზოგი** მზრუნველია, ზოგზე ზრუნავენ, ზოგი საზრუნავია, ზოგი — უზრუნველი.
- **ზოგი** თავაზიანია, ზოგი ზუსტია, ზოგი ზეგ იბარებს, ზოგი — მაზეგ, ზოგი — ზეგზეგ.
- **ზოგი** ზაფხულობით ზღვაზეა, ზოგი ზვარშია, ზოგი ტურისტულ გზაზეა, ზოგიც ბამზეა.
- **ზოგი** თხზავს, ზოგი იზუთხავს, ზოგიც ზუთხს ისე ახაზირებს.
- **ზოგი** ხაზავს, ზოგი გახაზულია, ზოგს უხაზავენ, ზოგსაც მოეხაზა.
- **ზოგი** აზიზია, ზოგი ფაქიზია, ზოგი მახალოა, ზოგი ბრაზიანია, ზოგიც საზრიანია.
- **ზოგი** ზიარია, ზოგი მოზიარეა, ზოგი ეზიარა, ზოგსაც აზიარებენ.
- **ზოგი** დაზღვეულია, ზოგი ზღავს, ზოგი თავს იზღვევს, ზოგსაც აზღვევინებენ.
- **ზოგი** ზვიადია, ზოგი აზვიადებს, ზოგი ზრახავს, ზოგიც უმზრახადაა.
- **ზოგი** ზეზე ზის, ზოგი ზოგს აზის, ზოგი ზოგს უზის, ზოგი ბუზს არ იფრენს.
- **ზოგი** ზნეკეთილია, ზოგი — ზნემოკვეთილი, ზოგი შეზღუდულია, ზოგიც — შეუზღუდავი.
- **ზოგს** მიზანი აქვს, ზოგი უმიზნოდაა, ზოგს ზიანი მოაქვს, ზოგს — მიაქვს.
- **ზოგი** ზემოდან იყურება, ზოგი ზედ იყურება, ზოგი ზელაც არ უყურებს.
- **ზოგი** ზოგჯერ აშავებს, ზოგი — ზედიზედ, ზოგი ზომიერადაა, ზოგი ზომავდასულია.
- **ზოგი** ემზადება, ზოგი ამზადებს, ზოგი ზოგიერთს უმზადებს.
- **ზოგი** ზამბარასავითაა, ზოგი ზვინივითაა, ზოგი ზამშუა, ზოგიც ზანზიბარშა.
- **ზოგი** ზოგითაა, ზოგი ზოგვითაა, ზოგი მზაკვარია, ზოგიც უმზაკვროა.
- **ზოგი** ასეა და ზოგიც — ისე: „კაცი არ ყველა სწორია, დიდი ძეს კაცით კაცამდის!“ — ბრძანა დიდმა რუსთველმა.

თავის ქება კიტრად არ ღირსო, გამიგონია.

ცხადია, თავს არ ვიქებ, მაგრამ სიმართლე ხომ უნდა ითქვას?

20 წლისაც არ ვიყავი, აბგარპუკის რვაწლიანი სკოლის დირექტორად რომ დამინიშნეს შინაურებს სასაცილოდაც არ ჰყოფნიდათ ჩემი დირექტორობა.

მერე? მერე ის იყო, თოფი გავარდა და მეც იქ აღმოვჩნდი, სადაც მილიონობით საბჭოთა ადამიანი იბრძოდა.

იმ ჯოჯოხეთს ცოტა ვინმე თუ გადაურჩა ისე, რომ არ დაზიანებულყო. ჰოდა, მეც მერგო ჩემი წილი: 1942 წლის ივლისში მძიმე კონტუზია მივიღე. თუმცა დიდი არაფერი, რამდენიმე კვირა დაუყავი პოსპიტალში და ისევ მწყობრში ჩავდიქი.

ვიბრძოდი ვოლსოვის ფრონტზე, კარელია-ფინეთის მიმართულებით, უნგრეთში, ავსტრიაში, ჩეხოსლოვაკიაში, ბოლოს — იაპონელი მილიტარისტებისათვის „ჭკუის სწავლების“ კამპანიაშიც ვმონაწილეობდი.

კაცმა რომ თქვას, დიდი არაფერი გამირობა ჩამიდგინა — სულ სამი ორდენი, ათი მედალი და მთავარსარდლობის 16 მაძლობა დავიმსახურე მთელი სამამულო ომის მანძილზე.

ასე იყო თუ ისე, დავბრუნდი შინ დაღლილ-დაქანცული. არ დამიჯერებთ და, ყველაზე მეტად ძილი მენატრებოდა. ვფიქრობდი, ჩავალ ჩემს აბგარპუკში, წამოვწევი მშობლიურ ქოხში და მანამ ვიძინებ, სანამ დანაკლისს არ შევივსებ-მეთქი.

თქვენც არ მომიკვდეთ! ვინ გაცალა თვალის მოხუჭვა? დაბრუნებისთანავე დამიბარეს და ნამუსზე შემაგდეს — რა დროს ძილია, ნაომარ და დაუძლურებულ ქვეყანას შველა უნდაო! რა მეთქმობა? მეც „შევები უღელში“ სხვებთან ერთად.

მერე, 1955 წელს წამავლეს ხელი და გუდაუთის რაიონის სოფელ ააცის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ წამომასკუპეს.

გოგონა, ისიც ახალგაზრდა კაცისთვის, მით უმეტეს, თუ შენგან მხოლოდ განკარგულებებსა და მითითებებს მოელიან. მაგრამ როცა ყველაფრის თავიდან დაწყება გისდება, მაშინ, დამერწმუნეთ, დიდაცობით განცდილ სიამოვნებაზე ოცნებაზე ზედმეტია!.. რაღა ბევრი გავაგრძელო, თორმეტი წელიწადი ვიმუშავე ააცში. არა, არც ხალხი მემდუროდა და არც პარტია და ხელისუფლება. რაც შემეძლო, თავი არ დამიზოგავს. რომ მეგონა, აწი აქედან ფეხს აღარ მოვიცვლი, სოფელსაც შევეჩვიე და აქაურ ხალხსაც, საქმე აწყობილი მაქვს და ცოტას მაინც წავიძინებ-მეთქი. ისევე მიხმეს, სადაც ჯერ არს, და მოკრძალებულად „მიბრძანეს“ — ლიხნის კოლმეურნეობები გავაერთიანეთ და იქაურ მცხოვრებთ გადაწყვეტილი აქვთ შენი თავმჯდომარედ არჩევაო! ლიხნში რვა ათასი კაცი ცხოვრობს. ესენი 23 ეროვნების შვილები არიან. სად — ააცი და სად — ლიხნი? რა შედარება!

ასლა რომ ვთქვა, აქაც ყველაფერი თავიდან დავიწყებ-მეთქი, შეიძლება არ დამიჯეროთ, ამიტომ თავს უფლებას მივცემ, სულ რამდენიმე ციფრი დავასახელო: 1965 წელს, ესე იგი ჩემს თავმჯდომარედ დანიშნამდე, კოლმეურნეობის საერთო შემოსავალი მილიონ 273 ათასი მანეთი იყო, ათი წლის შემდეგ 3 მილიონ 400 ათასს მიაღწია, წლეულს კი 5 მილიონს გადავაჭარბეთ!

ლიხნში 1928 წელს დაარსდა ორი კოლმეურნეობა, რომლებიც სულ 15-20 კომლს აერთიანებდნენ და 10 უღელი ცოცხალი გამწევი ძალა ჰყავდათ. დღეს კი 30 მანქანა, 48 ტრაქტორი და სხვა ტექნიკა გავაგანია, განიერი გარაჟი ვეღარ იტევს. კოლმეურნეობაში არსებობს მემინდვრობის 21 და მექანიზატორთა 3 ბრიგადა.

ამას წინათ 90 წელს მიღწეული კოლმეურნი თემურ ოსმანის ძე აგრბა მესტუმრა (თე-

მური 1946 წლიდანაა სკკპ წევრი).

— ყრილობაზე როდის მიემგზავრები, დად? — მკითხა საპატიო კაცმა.

— მალე.

— თუ კაცი ხარ, ყველაფერი დაწვრილებით ჩაიწერე, რა მიღწევები გვაქვს, რა გავაკეთეთ მეთერთმეტე სუთწლეულში და რა გეგმები დავისახეთ მომავლისათვის!

დიას, ჩავიწერე (თუმცა რა ჩაწერა მჭირდება, ყველაფერი შეპირად ვიცო), რადგან პირადად შენი და შენი ხალხის მიღწევებს დაწერილს და, მით უმეტეს, დაბეჭდილს რომ ნახავ, ასე გგონია, მეტი შთამბეჭდავი ძალა აქვს: წლეულს მოვკრიფეთ და სასელმწიფოს ჩაებარეთ 3.300 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, ჩვენ მიერ მოკრეფილი პირველი ხარისხის ჩაის ხვედრითმა წონამ 72 პროცენტი შეადგინა, რაც იმას ნიშნავს, რომ წლეური გეგმა 138 პროცენტით შეგასრულეთ. ჩაის კრეფის სუთწლიანი გეგმა სამნახევარ წელიწადში გავანადღეთ. სულ სუთწლეულის მანძილზე კი 14920 ტონა ჩაი მოვკრიფეთ, დიდი გადაჭარბებით შევასრულეთ აგრეთვე ერთმანის, ბოსტნეულის, მეცხოველეობის პროდუქტების გეგმა-ვალდებულებანი.

ავამენეთ კულტურის სახლი, საშუალო სკოლა, დავამთავრეთ გუდაუთ-ლიხნის ავტომაგისტრალი. სოფელში გვაქვს 3 საფერწლო-სამეანო პუნქტი, ამბულატორია, სამი კლუბი, 5 ბიბლიოთეკა, ათზე მეტი სავაჭრო წერტი, მუშაობს საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატი. ერთი სიტყვით, ალბათ თავის ქებაში არ ჩამოგვერთმევა, თუ ვიტყვი: ასლა ლიხნელები სწორედ რომ კარგად ვცხოვრობთ — წელგამართულად და ხელმომართულად!

საყვედური არ მეთქმის — ჩემმა ხალხმა, მშობლიურმა კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ დამიფასეს ის მოკრძალებული წვლილი, რაც სოფლის შემდგომი წინსვლის საქმეში შევიტანე — დაჯილდოებული ვარ ლენინის ორდენით, შრომის წითელი დროშის ორდენით, არაერთგზის ამირჩიეს აფხაზეთის, საქართველოსა და სსრ



ჰაპიბეი აიბა

კავშირის უმაღლესი საბჭოების დეპუტატად.

არ მინდა იფიქროთ, თითქოს გასაკეთებელი აღარაფერი დავგონა, ყველაფერი მოვარებული გვაქვს, ფეხიფეხზე გადადებული ვსხედვართ და ცხოვრებით ვტკბებით. არა! წინ ბევრი საქმე გველოდება. ჯერ კიდევ არა გვაქვს საბავშვო ბაღი, რაც, ცხადია, ხელს გვიშლის უფრო მაღალი შრომითი მიღწევების მოპოვებაში. ახლახან რომ მოგასენეთ, ამდენი და ამდენი მანქანატრაქტორი და სხვა ტექნიკა გვაქვს და განიერ გარაჟშიც არ გვეტყევა-მეთქი, შემთხვევითი კი არ ყოფილა — მომავალ სუთწლეულში მექანიზებული გარაჟის აშენებას ვაპირებთ. და კიდევ ერთი ჩანაფიქრი უნდა განვახორციელოთ აუცილებლად: ჩაის პლანტაციები 300 ჰექტარამდე უნდა გავზარდოთ!


დამითანხმებით, ამ და აქ ჩამოთვლილ უამრავ საქმეს, კოლმეურნეობაში რომ კეთდება, ხელმძღვანელის ფიზიკური თვალის და მუდმივი დაძაბულობა სჭირდება!

...ჰოდა, გამოძინებას როდის მოვახერხებ, აღარ ვიცი!..

გუდაუთის რაიონის სოფელ ლიხნის სკკპ XXVI ყრილობის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარის, საქართველოს კომპარტიის 27-ე ყრილობის დელეგატის, სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ჰაპიბეი აიბას ძე აიბას მონოლოგი ჩაიწერა „ნიანგის“ სპეცკორესპონდენტმა ნოდარ ხუნდაძემ.

ჰმარ კიდევ გვაქვს ფაქტები, როცა ათასგვარი წამგლეჯები და კომბინატორები პოულობენ „მფარველებს“ ხელმძღვანელი ორგანოების მუშაკებს შორის, და აქ განსაკუთრებით ავლენს თავის „ყოველისშემძლობას“ ქრთამი.

ნახ. ბ. ლომიძისა



მფარველი ძიას უბეში

ნახ. ბ. კებრიაშვილისა



— ვაჭრობაში რომ ვამუშავოთ, ამხანაგო, გამოცდილება უნდა გქონდეთ!  
— მე გამოცდილება მაკლია, ბატონო?! მთელი ჩემი დღე და მოსწრება ბაზრებში დავწანწალებდი!

# საქართველოს პრეზიდენტის XXXIII ყრილობის აქტუა

## მამამისის პრიზის მულაგალი

**სუმრობასა** და გულიან სიცილიში მართლაც რომ შეუდარებელი იყო რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ცნობილი მეფოლადე **მიხეილ სპანდარაშვილი**. იგი სიტყვას არ იტყოდა ისე, ბოლოს სუმრობა რომ არ მიეყოლებინა.

— კაცო, მიშა, სულ რომ კარგ ხასიათზე ხარ, მარტენის ღუმლის ცეცხლთან დახრუკულ კაცს რა გექვს სახუმარო და სასაცილო? — ჰკითხა მიხეილს სუმრობით განთქმულმა მეფოლადის ერთმა ხელშემწყობმა.

— დახრუკული და დამწვარი შენა ხარ, შე საცოდავო, ოცი წელია, ხელშემწყობად ბერდები და ხელს უშლი მეფოლადეებს, თორემ მე შენზე მეტი საქმეც მაბარია, შენზე მეტი ხელფასიცა მაქვს და შენი წონა ჯილდოები მაქვს მიღებული! — უპასუხა ენამოსწრებულმა მიხეილმა.

მიხეილის შვილი — **თამაზ სპანდარაშვილი** — მამის კვალს გაჰყვა, სკოლის დამთავრებისთანავე მიაშურა ქარხანას და აგერ ათი წელია, მოწინავე მეფოლადეა. საქართველოს კომკავშირის პრემიის ლაურეატი, ქარხნის პარტიული კომიტეტის წევრი, ბრიგადის პარტგეგუფორგი, საქართველოს კომუნისტური პარტიის 27-ე ყრილობის დელეგატი არც შრომასა და არც იუმორში არ ჩამორჩება მამამისს.

— გავამეტალურგე ოჯახი, — ღიმილით ამბობს თამაზი, — ჯერ ერთი, მეტალურგი რომ გავხდი, დონეცკელ მეტალურგთა ქუჩაზე ვცხოვრობდით; მამაჩემიც დონეცკში სწავლობდა მეტალურგის პროფესიას; ჩემი მეუღლე მეტალურგიული ქარხნის მილსაგლინავი საამქროს საკონსტრუქტორო ბიუროში მუშაობს მსაზღველად; ცოლისდაც მის გვერდით საქმიანობს; ქვისღი, რობინზონ ლომიძე, ამავე საამქროს უფროსის მოადგილეა და ისიც საქართველოს კომკავშირის პრემიის ლაურეატია; ჩემი და, ცისმარი, მარტენის საამქროს ბულატერია (თან



თამაზ სპანდარაშვილი

ჩვენი ოჯახის საშუალო შემოსავალსაც ანგარიშობს); ჩემი სიდედრი პენსიონერია და მეხვეწება „მეტალურგის“ სტადიონზე ან მეტალურგთა კულტურის სასახლეში მომასწავვე ქალის შესაფერ რაიმე სამუშაოზე! შვილები რომ წამომეზრდებიან, ნათიასაც და მიხეილსაც მეტალურგიულ ქარხანაში მივიყვან სამუშაოდ. ხომ შეიძლება, ჩემმა მიხეილმა აჯობოს მამაჩემს — პაპა მიხეილს? სხვათა შორის, სუმრობაში ნუ ჩამომართმევთ და, მამაჩემის — მიხეილ სპანდარაშვილის სახელობის პრიზი რაღა სხვამ წაიღოს-მეთქი და რამდენჯერმე მე დავეუფლდე. ჩემს ხელშემწყობებთან, ელიზბარ შუბლაძესა და თამაზ ზედგენიძესთან ერთად, ვალდებულეა ავიღე, ყრილობის გახსნის დღისათვის 300 ტონა ზეგვემითი ფოლადი გამოვადნო. ელიზბარ შუბლაძე მეხუმრება კიდევ, მამაშენის ხელშემწყობი ვიყავი, შენ რომ დაიბადე, ის დიდებული კაცი არასდროს არ შემიტყუებინა და რაღა შენთვის ვიქნები ხელშემშლელი?! ჩვენც გვგონია, რომ სპანდარაშვილ ბიჭი არ სუმრობს და სიტყვას საქმედ აქცევს. აკი თვითონ თქვა: თავი რომ მოვიკლა, დაპირებას მაინც შევასრულებ, თორემ „ნიანგთან“ ჩემმა მტერმა იხუმრაო!

**პანო ცინცაქა,**  
„ნიანგის“ სპეცკორესპონდენტი.



### უპირო სიტყვა მოვიდა!

პროდუქციის მიწოდების სახელშეკრულებო ვალდებულება 1984 წელს ვერ შეასრულა რესპუბლიკის მრეწველობის 119-მა საწარმომ, 1985 წელს კი 164-მა საწარმომ.

არ მოგვცა, როცა მოგვინდა,  
რაც მოგვცა, ისიც გვანანა!  
უპირო სიტყვა მოვიდა,  
გეგმას წააკენიტ-წანამა!..

### მგელმა გაღაჭა

მგელმა გაღეჭა ზოგის „ლოგიკა“! —  
რესურსმფლანგველი ეკონომიკა?!

### ბეჭეზი

რუსთავის საწარმოო გაერთიანება „ა ზ ო -  
ტ მ ა“ მეთერთმეტე სუთწლედის ყველა ძი-  
რითადი დავალება „ჩაფუშა“.

რის ხუმრობა, რა ანგლობა?! —  
შეჯიბრება ჰგავდა ნაცემს!  
მეტალურგთა აღმავლობა  
ქიმაზოტში ბეჭეზი დასცემს!

### ბოლოს ვხედავთ

შეფუთვის დეფექტების გამო ზოგჯერ პრო-  
დუქციის ნახევარზე მეტი უბრუნდებათ სამ-  
ტრედიის, ოჩამჩირისა და ზუგდიდის ჩაის  
ფაბრიკებს.

ბოლოს ვხედავთ (არ გვწამს ფიცი!),  
მყიდველი რომ იფუფქება!..  
საყვედურთან ერთად, იცით,  
ზარალიც რომ იფუტება?!



### რეჩხი

რესპუბლიკის ვენახებში სიმეჩხურე 20  
პროცენტს აღემატება.

ვაზი სადაც გამეჩხურდა, —  
რეჩხი გვიყო — მიწამ, ხედავთ?!

### ხელი გასძარ!

მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისა და ღო-  
რის გამოსაზრდელი და სასუქებელი კომპ-  
ლექსების ათვისება არ აღემატება 60-66  
პროცენტს.

ნუკი გძინავს, იძალეო,  
ხელი გასძარ, სიმძლავრეო!

### არ ჰქონდათ

ნამორჩენილმა საწარმოებმა მეთერთმეტე  
სუთწლედში მომხმარებლებს 500 მილიონ  
მანეთამდე პროდუქცია დააკლეს.

არ ჰქონდათ დიდი ცილობა,  
გეგმაც ჩავარდა, პირობაც!..  
გეგმა აპობდა პირობას,  
პირობა გეგმას სტიროდა!..

### გალაზიის ოსი.. რა-სუში!

მწვანე დაჰკრავს აქა-იქა,  
რა ძვირფასად გვავარდიფა!

### იანვრიდან იანვრამდე

შიდასამეურნეო ანგარიში სრულყოფილი  
ფორმით პრაქტიკულად იშვიათად იწერება.

ზედა რგოლში ვერ დავლანდეთ,  
ვერც დავიდა ბრიგადამდე,  
წელს დავიწყებთ, თუ გადავდებთ  
იანვრიდან იანვრამდე?!

### ერთი ათასად

ზოგ რაიონსა და საწარმო-დაწესებულებ-  
ებაში დეზინფორმაცია, მონვენებითობა სე-  
რიოზულ ნაკლოვანებებს იწვევს.

აცხელა, მერე აცივა,  
ვითომ მომთხოვნი, მკაცრია,  
დეზი ჰკრა ინფორმაციას, —  
ერთი ათასად აქცია

### არ ითმინა

მეთორმეტემ არ ითმინა  
(ახლაც სხივი დაჰფენია!),  
ხუთწლედისა და იანვრიდან  
კაცზარალი, კაცფურცია!


### ზაზა კასიაფილი

### ნახ. შ. ლელაძისა



გამაგიფებ, ბიჭო, მე შენი რამდენჯერაც რესტო-  
რანში პურის საკმელოდ მოვედი, იმდენჯერ იქ დამხვდი!  
კი მაგრამ, სამსახურში არ უნდა იაროქ!





ფოტა ქოქოევი

მოვასით საყრდენი და მთელ ქვეყნიერებას გადავაბრუნებო, უთქვამს არქიმედეს.

ჩემი საყრდენი ტრაქტორია. ქვეყნიერებისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ზნაურის რაიონის სოფელ ველეების ველმინდვრებს კი ნამდვილად ვაბრუნებ, თანაც ისე, რომ სარეკორდო მოსავლით ქვეყნიერება ავალაპარაკე!

გადაბრუნება მიწისა ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ტრაქტორისტი ხარ, მექანიზატორად მაშინ ხარ საქები, როცა ტრაქტორს სათონნი კულტურების მოვლას შეაძლებინებ, მწვანედ მოხსახსავ სიმინდის ყანებში აატარ-ჩამოატარებ და მხოლოდ სარეკელებს მოუთხრი ძირს, სიმინდს კი მიწას აუფხვიერებ.

ოსები ცხენის ჯირითში განთქმული ხალხია, მე კი გადავწყვიტე ეს რკინის რაში დამეურვებინა და ქვეყნის სამსახურში ჩამეყენებინა.

პირველ წელს თხუთმეტ ჰექტარზე დაეთესე სიმინდი; ხვანა, სასუქის შეტანა, ნიადაგის გაფხვიერება — ერთი სიტყვით, ყველა პროცესი მექანიზაციით სრულდებოდა. პირველ ხანებში მიჭირდა, ნაფთავის ქვეშ მოყოლილ წაქევეულ სიმინდებს ხელით წამოვყავებდი ხოლმე. მერე თანდათან გაოჩნდა ხელი, ტრაქტორი სულიერით დიდი სიფრთხილით დადიოდა ნათესებში.

სოფლის მეურნეობა რთული მეცნიერებაა, აქ მარტო მონდობა და თუნდაც ტრაქტორის დაუფლება ვერ გიშველის! თუ დროულად, აგროვადებში არ ჩაატარე ყველა სამუშაო, ფუჭი კაკალი შეგჩება ხელში. ვმუშაობდი და თან ვსწავლობდი, ვეკითხებოდი გამოცდილ ამხანაგებს, სპეციალისტებს. ვიყავი აბაშის ექსპერიმენტის გასაცნობადაც.

პირველმა წარმატებამ ფრთები შემახსა, მომდევნო წლებში თანდათან მეტ ფართობზე ვთესავდი სიმინდს და, ფართობთან ერთად, ერთ ჰექტარზე გადაანგარიშებით მოსავალსაც ვზრდიდი, ბოლოს კი რეკორდული მოსავალიც მივიღე — ჰექტარზე საშუალოდ 55 ცენტრი.

ეს იყო დიდი გამარჯვება. ჩემი შედეგით დაინტერესდნენ რესპუბლიკის მესიმიხდებები და ახლა უკვე ჩემთან ჩამოდიოდნენ მოწინავე გამოცდილების გასაზიარებლად.

უფრო დიდი სიხარული წინ მელოდა. თვალსაჩინო შრომით მიღწევების გამო საქართველოს სსრ 1982 წლის სახელმწიფო პრემია მომენიჭა.

დაჯილდოებული ვარ „საპატიო ნიშნის“ ორდენითა და მედლებით, საპატიო სიგელეებით, სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულისა და ხუთწლედის დამკვირდის სამკერდე ნიშნებითა და პრიზებით.

არჩეული ვარ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

გამოგიტყდებით, ჩემი შრომის ასე მაღალ შეფასებას არ ველოდი.

1984 წელს ვიმედოვნებდი, ჰექტარზე 60 ცენტრები სიმინდის მოყვანას და ახლოსაც ვიყავი მიზანთან — იმისთანა სიმინდის ყანა მქონდა, ავთვალს არ ენახებოდა, მაგრამ კეზვის არხმა მიმტყუნა (რეკონსტრუქციის გამო არ მუშაობდა), გვალვამ დამიზიანა კარს მომდგარი მოსავალი.


ჩემივე რეკორდის მოხსნაზე ხელი არ ჩამიქნევია, 60 ცენტრები სიმინდის მოწვევას მომავალ წელს ვაპირებ.

გამოგიტყდებით, მჭადი მაინცდამაინც არ მიყვარს, მაგრამ დედაქალაქში თბილისობაზე რომ მიმიწვიეს, იქ ვნახე, თუ რა ნუგბარი რამეები შეიძლება დამზადდეს სიმინდისაგან.

გარდა ამისა, სიმინდი არის ფურაჟი, სასილოსე მასა და, საბოლოო ჯამში, ხორცი და რძე! აი, რატომ ვთვლი ჩემს გარჯას საქვეყნო საქმედ. მომავლის გეგმები დიდი მაქვს.

ის, რაც XI ხუთწლედში ვერ მოვახსარი, მომავალ ხუთწლედში უნდა გავანაღლო! დაე, ჩემი ნობათივ ემატოს საქართველოს ხვავსა და ბარაქას.


მექანიზატორ შოთა ქოქოევის ნაამბობი ჩაიწერა „ნიანგის“ სპეცკორესპონდენტმა ელგუჯა მერაბიშვილმა.



მოსაპართლე და... მექრთამა!

თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონის ხანალო მოსაპართლეს — სიკრპო ტიგრანის ძე ხაჩატიანიანს — მექრთამეობისათვის მიესაჯა ათი წლით თავისუფლების აღკვეთა სასჯელის გაძლიერებული რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში მოხდით.

იყო ავლაბრეთს (ავლაგმეთ!) სერგო ხაჩატურიანი, მოსაპართლე და... მექრთამე, სინდის-ნამუსნულიანი, გამოჰქონდა განაჩენი ქრთამიანი, ფულიანი! ახლა თავადაპარსული, თავლაფადასხმული არი!



ნახ. მ. აბაშიძისა

სულმა წახსდლია!..

ნარევი

— ექვ, თაობათა ცვლა რომ არა, ჩვენი გუნდი უსათუოდ დაიკავებდა პირველ ადგილს! — ჩაილაპარაკა მესამეკლასელმა ბიჭუნამ.

● დაუპარაკალია, მალაზიის ქათამიც ჩვეულებრივი კვერცხიდან იყოს გამოჩეკილი!

● ფუტკარავა და იჩივლეს, ზოგჯერ ყვავილებთანაც მიგვიშვით, თორემ, იცოდეთ, ფუტკარებსაც გვიჩნდება შაქრის ავადმყოფობაო!

რაციონალიზატორის კითხვა

● სასლგაართველა სახურავების შეკეთებას ტაშტების შექენა ამჯობინა.

განცხადებები

● შაბათს და კვირას, უშბის სამხრეთ კედელზე გაიმართება დეფიციტური სპორტული საქონლის გამოფენა-გაყიდვა. მათ, ვინც მწვერვალზე ასვლას ვერ შეძლებს, დაბლობში მოემსახურებიან გამოცდილი სპეკულანტები!

● მათთვის, ვისაც მოუწევს ახალი ბინის მიღება, გახსნილია კურსები ბინის შეკეთების სპეციალობების შესასწავლად. კურსებს უხელმძღვანელებენ გამოცდილი სანტექნიკოსები, მღებავები და სხვა სპეციალობის ოსტატები!

● უმაღლეს სასწავლებლებში უკონკურსოდ მიიღებიან ოქროს მედალოსნები და სანტექნიკოსების შვილები!

ანდრო კოქოლია

**ყველგან  
ღირიყოჩი  
არის იწიწიარო!**



მეგობრული შარუი  
თენგიზ ბოგოლუბაძისა

**ვასილ კუპრაძე**

**გურჯაანის** რაიონის ხელმძღვანელობას რომ გავაცანი ჩემი სტუმრობის მიზეზი, მითხრეს, რალა სოფელ-სოფელ და მინდორ-მინდორ ვეძებოთ რომელიმე, აგერ, სადაცაა, ბუროს სხდომა დაიწყება, ვესტიბიულში იქნება ბიუროს წევრი, მშენებლობის სამინისტროს № 24 ტრესტის მმართველი **ვასილ კუპრაძე**, მაგაზე მოწინავე ვინლაა — ხუთწლადის გეგმა 15 ნომბერს შეასრულაო!

ეს ტრესტი მართლაც მოწინავეა შორის მოწინავეა მთელს რესპუბლიკაში, არც საკავშირო გარდამავალი დროშა აკლიათ და არც — ჯილდო-პრემიები. თუნდაც ის რად ღირს, რომ მიმდინარე წელს გადაჭარბებით შეასრულა გეგმა, ყველა ობიექტი გრაფიკის მიხედვით დაამთავრა და მშენებარე ობიექტებსაც გეგმის მიხედვით აშენებს. ასე რომ, ქების მეტი არავის არაფერი ეთქმის.

თვითონ ტრესტის მმართველი ვასილ კუპრაძე არა მართლ გამომცდილი ინჟინერია, არამედ დიდად ნაკითხი, განათლებული ადამიანია, რაც მისი უნიკალური ბიბლიოთეკითაც მტკიცდება. თუმცა მიწაზე უფრო მდიდარი ბიბლიოთეკებიც, მაგრამ წაკითხულია არაფერი შემომჩნევია იმ წიგნებისათვის; ვასილ კუპრაძე კი, მიუხედავად დიდი დატვირთვისა, მაინც პოულობს იმდენ დროს, ჩვენი ლიტერატურული ცხოვრების საქმის კურსში რომ იყოს. ესეც დადებითად ახასიათებს ამ კეთილი გულისა და ნათელი გონების კაცს.

ვესტიბიულში ვსაუბრობთ, აქაური კაცი ვარ და, დიდი ხნის ნაცნობობა ხელს გვიწყობს, პირდაპირ საქმეზე რომ გადავიდეთ.

— ვიცი, რასაც მეკითხები, — მეუბნება ვასილი, — ცხოვრებაში ბევრი სასაცილო შემხვედრია, უფრო მეტი კი — დამაფიქრებელი, მოდი, ტრადიცია დავარღვიოთ და საამაჟურნალოდ სასაცილო კი არა, ამ დამაფიქრებელზე მოგიყვები. ეს უფრო საინტერესო და ორიგინალური მეჩვენება. რას იტყვი?

— მართლაც საინტერესო მგონია!

— ერთხელ, საღამო ხანს, ჩემი სტუდენტობისას, „ღინამოს“ სტადიონთან ვდგავართ ბიჭები, ერთ მეგობარს ველოდებით, იქვე ცხოვრობს. კინოში წასვლას ვაპირებთ. გავიხედეთ, ჩვენი გალაკტიონი მოდის! ჯიბეებიდან ამოვიღეთ ხელეები და მოკრძალებით პიკჩერებივართ. მოგვიანლოვდა გალაკტიონი, გამარჯობათ, ძამიკოებოო, და მაშინვე მოაყოლა: — შეხვედრას მიწყობენ, მაგვიანდება. იქნება ტაქსი დამიკავოთ?!

ვინ მომასწრებდა ტაქსის დაჭერას?!

უკეთესად რითი დაგვაფასებდა დიდი გალაკტიონი?!

ზუსტად ერთი წლის შემდეგ რუსთაველის პროსპექტზე გალაკტიონი მოდიოდა. დამინახა, დამიძახა. მივედი. თავზე ხელი გადამისვა, გამარჯობა შენი, ძამიკო, ხომ იცი. პატივისცემას გადახდა უნდაო?! წამო, ერთად გადავიდეთ სურათიო! ისე დავიბენი, რაღაც მოვიმიზეზე და არ წავყვივრა შეცდომა დავუშვი!

— ახალი დამთავრებული მაქვს ინსტიტუტი, — განაგრძობს ვასილი, — ობიექტის მშენებლობა ჩამაბარეს. დღე და ღამე ვმუშაობ. გეგმის შესრულებაზე ვფიქრობ და, რალა თქმა უნდა, ხარისხზეც ინჟინერი ვარ — თავი მეამაყება! მინისტრი ჩამოვიდა ჩვენი ტრესტის შესამოწმებლად. ჩემს ობიექტზეც მოვიდა. მინდა, ჩემი სიმკაცრე ვაჩვენო და ერთ მუშას არ ვუყვირო?! მოდი აქაო, ხელი დამიქნია მინისტრმა. მივედი. მივედი და ისეთი სილაქი გამცხო, ნუ იტყვი!

მელიმება.

— ჩემი ცხოვრების მანძილზე განსაკურებით, აი, ეს ორი რამ მახსოვს: გალაკტიონის თავზე ხელის გადასმა და მინისტრის სილაქი.

**პარლო კობერიძე**, „ნინაჯის“ საეცოროსპონდენტი.



ნახ. მ. ავაშიძისა

— აჰა, გვარდი და რაიონის ხელმძღვანელობას ახარე, გეგმა 200 პროცენტით შევასრულეთ-თქო! თუ არ დაგიჭერონ, დედა დაიფიცე და დაგიჭრებენ!

ილუსტრაცია ზ. შორჩინძისა



**თანამდებობის პირია, ცოლი ჰყავს თავზე დასმული!**  
**თვითონ — სახლიდან, ცოლი კი ხელიდან არის წასული!**

**გააჩარჩ-გაამიკიტნა ამ ცოლმა ქმარი, კიკიტა, როცა გამდიდრდა, მასივი ყურებზე ჩამოიკიდა!**

**ერთი მასივი — მკლავებზე! ერთი მასივი — მაჯებზე!**  
**ერთი მასივი — კისერზე! ერთი მასივი — კანკებზე!**

**უმალ გაფატრავს კიკიტას, თუ იგი ოდნავ „იურჩებს“!**  
**ყურ-ყელ-მაჯ-კანჭით ატარებს მთელი ქალაქის ბიუჯეტს!**

**„პატიოსანი“ კაცია ნამდვილად ჩვენი კიკიტა, ცილს ვინ დასწამებს?! — თავისთვის „ინსის“ ტუფლები იყიდა!**

**ჯეჰალ კვირანჯილიაძე**



# სსრკ-ის 30-ე წლის XXVI ყრილობის აღმკრები

მერაბი  
მაცნობს  
ბულივერს!..



მერაბ ნიშარაძე

**მერაბ ნიშარაძე** კაბინეტში არ აღმოჩნდა. გორის ბამბულის საწარმოო გაერთიანების გენერალური დირექტორი გულივერთან იყო ჩასული. როგორც იქნა, გულივერის საამქროსაც მივაგენი. რკინის ნერვები აქვს სეიფტის გმირის სენნიას — დიდი არ იცის და პატარა, უფროსი და ხელმეფეთი, სტუმარი და მასპინძელი! ზედაც არ შემომხედა, ისე განაგრძო მუშაობა!..

მერაბი მეუბნება:

— ამას ნუ მოვაცდენთ, 18 კაცის საქმეს აკეთებს, წითელ კუთხეში ჩამოვსხდეთ! მივანებთ რობოტს თავისი საქმე და გავუყვივით დერეფანს...

პოლიტექნიკური ინსტიტუტი რომ დაამთავრა მერაბ ნიშარაძე ქსოვის სპეციალობით, ჯერ კათედრაზე იმუშავა, შემდეგ, 1970-77 წლებში, ხაშურის საფეიქრო-საგალანტერიო ფაბრიკას აშენებდა. მერე შვიდი წელი თბილისის სხვადასხვა ფაბრიკაში იმუშავა.

— გორელემა ძმასავით მიმიღეს. გაერთიანებას ჯანსაღი კოლექტივი ჰყავს. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ კოლექტივს ყველა პირობას ჯერ კიდევ ვერ ვუქმნით იმისათვის, რომ ადგილზე დავამაგროთ მაღალკვალიფიციური მუშახელი! — გულახდითად მიზიარებს მერაბი თავის საზრუნავ-საფიქრალს. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროზე საწარმოო სიმძლავრეების აუთვისებლობის გამო მკაცრად მოგვთხოვენ პასუხი. ჩვენ იოლი მემკვიდრეობა არ მიგვიღია. რაც კომბინატი არსებობს, გეგმა ძირითად ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში იშვიათად არის შესრულებული. რა თქმა უნდა, ეს ჩვენ, ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის დღევანდელ თაობას, პასუხისმგებლობას არ გვიხსნის. დისასხა იმედის მომცემი პერსპექტივები. დამთავრდა პირველი სართავი ფაბრიკის ტექნიკური გადაიარაღება. იგივე პროცესი მიმდინარეობს მეორე საქსოვში. რეკონსტრუქცია გაუკეთდება ვამომყვან ფაბრიკას. ვეცდებით, სანიაგედ არ გავინადლოთ საქმე!

კარგი ვაქაცი, 45 წლის სპეციალისტი, საქალაქო პარტიულ კონფერენციაზე საქართველოს კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობის დელეგატად დაასახელეს. ამ ნდობას მერაბ ნიშარაძე დიდ პატივად აღიქვამს.


წამოსვლისას კიდევ იმ საამქროსაკენ გამექცა თვალი — გულივერს მოზომილი ნაბიჯებით გადაჰქონდა მასალები ერთი ადგილიდან მეორეზე. ახლა კი თამამად შეიძლება ითქვას, რომ რობოტების ერა დაიწყო გორშიც!

ჩვეალ იხვია,

„ნიანგის“ სპეცორესპონდენტი.

მეგობრული შარჟი ნანა შხიტაძისა

ნანა მ. სარმარელიძის



— რაც ეს გველემუაბი მოვიშინაურე, ცეცხლისა და წყლის პრობლემა. მგონი, გადავჭერი!

## ფინანსები

- როგორც ხელმძღვანელი, ძალიან მომთხოვნი იყო — ცოტას არ სჯერდებოდა.
- ბაზარში წვიმიან დღეს დადიოდა — ცეცხლი განსლებული იქნებოდა.
- ტროლმეიზუსში ბილეთს არ იღებდა — ქუჩა ნაგვიანდებოდა.
- რესტორანში მუდამ ხელგაშლილი იყო — სულ ცეკავდა.

ფოტო აქლესაშვილი


ჩვენ (მე და მან), მოხვეჭილი ფული გვექონდა რაკი, უკანონოდ ავიშენეთ ოთხი აგარაკი, შევიძინეთ ოთხი ავტო უცხოური მარკის! — გავაკვირვეთ, გავაოცეთ, გადავრიეთ ხალხი!..

ჩვენ (მე და მან), მოხვეჭილი ფული გვექონდა რაკი!..

ოხრად დავვრჩა ოთხი ავტო, ოთხი აგარაკი — ჩამოვვართვეს, არ დაგვიწყეს ბუერი ლაპარაკი და კარები მოვვიკეტეს ციხის ბნელი საკნის!.. მე ინფარქტი გავინადლე, მან კი — გულის მანკი!..

ჩვენ (მე და მან), მოხვეჭილი გვექონდა ფული რაკი!..

დიობანა კასრიშვილი



უსიტყვოდ

## მეზობელი?

**კველი** საწარმოა ცხაკაის რაიონის უშაფათის ჩაის ფაბრიკა. იგი 1933 წლიდან მუშაობს, მაგრამ სიტყვა „ძველს“ მართო მისი სწოვანების საზგასამელად არ ვიხმარდით, ხანდაზმულობისათვის დამახასიათებელი სხვა სენიც რომ არ სჭირდეს!..

შარშანდელი კრეფის სეზონის პიკის პერიოდში, ნედლეულის მოზღვაეების ჟამს, „ბებერ“ საწარმოს განსაკუთრებით გაუჭირდა, გაუჭირდა იმის გამო, რომ:

არ ჰყოფნით ხალხობ-საფიქსაციო დანადგარები;

შესაცვლეულია ზოგიერთი ტექნოლოგიური მოწყობილობა; არასაკმარისია საამქროთა ფართი;



აუცილებელია დაიდგას ერთი ახალი ჩაის სახმობი დუშელი, ახალი ტიპის ოთხი როლერი, მეორე გრუნის სამი როლერი;

გარდა ამისა, საამქროებში არაა დაცული სამშენებლო ნორმები, აწვიმს დამხარისხებულ საამქროს, მზა პროდუქციის საწყობს, კაპიტალურად შესაკეთებელი და კეთილმოსაწყობია საგრუნის და სახმობი განყოფილებები;

კაპიტალური რემონტი ჭირდება აგრეთვე დამამრე ნაგებობებს — ტარაყუთებისა და მექანიკურ საამქროებს, სასაწყობო მეურნეობას;

ავარიულ მდგომარეობაშია მუშა-მოსამსახურეთა საერთო საცხოვრებელი ორსართულიანი სახლები.

ყოველივე ეს, მერამდენე წელია, აშფოთებთ უშაფათელებს!..

ჩაის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტის წინაშე დროზე დაისვა საკითხი ფაბრიკისათვის ზემოაღნიშნული ღუმლის, დანადგარებისა და აგრევატების გამოყოფის შესახებ. რაიონის ჩაის სამრეწველო საწარმოთა გაერთიანებაში იმედოვნებენ, რომ წლევეანდელი სეზონისათვის ამ საქმეს ეშველება.

მაგრამ ვინ ითავებს დიდი მოცულობის სარემონტო სამუშაოთა დაფინანსებას და შესრულებას?

როგორ შეიძლება იფიქრონ შრომისა და ყოფაცხოვრების პირობების გაუმჯობესებაზე, როცა საამქროებს და საცხოვრებელ სახლებს აწვიმს?.

იმედია, ამ კითხვებზეც კონკრეტულ პასუხს გასცემენ „ნიანგის“ რედაქციას სათანადო ორგანიზაციები!

უშაფათის ფაბრიკა შველას ელის!

**ანზორ ბარამია,**

„ნიანგის“ მტატგარეშე კორესპონდენტი ზუგდიდის ზონაში.

# კითხვა-პასუხი

ერთი პატარა ქალაქი, თავი რომ დიდი ჰგონია, საესვა ქალაქელებით, თავი დიდი რამ ჰგონიათ! კაცებსა ქალაქელებსა თავი ლომ-გმირი ჰგონიათ, ქალებსა ქალაქელებსა თავი თამარი ჰგონიათ, ყველას უკლებლივ, თორემა, ზოგი არც ტყუის, მგონია! ქალაქში ერთი გორაა, თავი დიდგორი ჰგონია, ერთი პატარა ტბაა და თავი ზღვის ტოლი ჰგონია! ტბას წყარო გამოქცევიდა, თავი მდინარე მგონია, წყაროზე შორი გაედოთ, შორს თავი სიდი ჰგონია! იმ სიღზე ფენი რომ შევდგი, შუა ჩავდრიკე შორია!.. „კვიცი გვარზე სტის“,- ვინცა

თქვა, მართალი უთქვამს, სწორია!

..მც სომ იმ ქალაქელი ვარ, თავი რომ დიდი ჰგონია?!

**გიმინა მინდაძე**



ქაფიხილი, ან ჩაფიხი, ამოღე ჩაი...  
 ან მესტეფილი ან მესტეფილი  
 სამედიცინაო!  
 დაივი ქაფიხილი

ქაფილი ყოველივე იმას, სადაც ქაფიხილია შენი სიხარული!  
 ლოქ ზოგისგანია



საბინისა და იუზმორის შურალი „ნიანგი“ № 2 (1708) იანვარი. გამოდის 1923 წლის ივნისიდან.

მთავარი რედაქტორი ზაურ ბოლქვაძე

სარედაქციო კოლეგია:

ავთანდილ ადგიშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), ჯაბუა ამირეჯიბი, ნომადი ბართაია, ზორის გურგულია, რევაზ თვარაძე, ჭემალ ლოლუა, ნოდარ შალაზონია (მხატვარ-რედაქტორი), ალექსანდრე სამსონია, ბექან სინარულიძე (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ჯანსუღ ჩარკვიანი, თამაზ წიგწივაძე, ნაფი ჭუსიოთი.

ტექნიკური რედაქტორი მიხეილ კუხალაშვილი

გადაეცა ასაწყობად 20. 12. 85 წ. ხელმოწერილია დსაბეჭდვად 16.01.86 წ. ქალაქის ზომა 60X90/4 ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 1,25, საარტიკვლო-საგამომცემლო თაბახი 1,9, საქართველოს კბ ცკ-ის გამომცემლობა, ლენინის, 14. შეკვეთა № 3027. უკ 05008. ტირაჟი 143.000. შურალი გამოდის თვეში ორჯერ. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ჩვენი მისამართი: 880008. თბილისი-8, რუსთაველის პროსპექტი № 42.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 99-55-54, მთ. რე. მოადგილის — 93-19-42, პ/მგ მდივნის — 93-10-78, მხატვარ-რედაქტორის — 99-02-38, განყოფილებათა გამგებების — 93-49-32, რედაქტორ-ლიტმუშაკების — 99-02-38, მდივან — მემენაშის — 99-76-69.

სატირიკო - юмористический журнал «НИАН-ГИ» (На грузинском языке) Тбилиси, пр. Руставели № 42. Издательство ЦК КП Грузии, типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, улица Ленина № 14.

ფასი 20 კაპიკი. იმდები 76137


# ყვანოყანი

## იყმირი

ორი ჯარისკაცი საუბრობდა:  
— მოხალისედ წამოხვედი თუ გაგიწვიეს?  
— როგორ ვითხრა!.. რიგმა რომ მომიწია, წილისყრის დროს კენჭი ამოვიღე, კმაყოფილად არავინ აღმომაჩნდა, სამხედრო-საექიმო კომისიამ ჯარში სამსახურისათვის ვარგისად მცნო და, რაღა დამჩვენოდა, ავდექი და მოხალისედ წამოვედი!

\* \* \*

კაპრალი ახალ წვეულეებს თითების ანაბეჭდების ასაღებად აშხადებდა.  
— დაიბანეთ ხელები! — გასცა მან განკარგულება.  
— ორივე? — იკითხა ერთმა ახალწვეულმა.  
კაპრალმა თვალები ჭერს მიამჯინა.  
— არა, — თქვა მან, — მხოლოდ ერთი! შინდა ვნახო, როგორ გააკეთებთ ამას!



განერალი და პოლკოვნიკი ქუჩას მიუყვებოდნენ. წინ რამდენიმე რიგითი ჯარისკაცი შემოეყარათ და ყოველთვის, როდესაც მათ ხალამს უბრუნებდა, პოლკოვნიკი თავისთვის ჩაიბურტყუნებდა სოლმე, თქვენც აგრეთვე!  
გენერალი ცნობისმოყვარეობამ აღარ დააყენა და პოლკოვნიკს მიმართა: — რატომ იმეორებთ წამდაწუმ ერთსა და იმავეს?  
— ერთ დროს მეც რიგითი ჯარისკაცი გახლდით, — მიუგო პოლკოვნიკმა, — და კარგად ვიცი, ეგენი მისალმებისას გუნებაში რასაც ფიქრობენ!

\* \* \*

ორი თვითმფრინავი სავარჯიშო ფრენის დროს ერთმანეთს დაეჯახა. მფრინავები, როგორც იქნა, გადაარჩინეს და გამოჰკითხეს მარცხის მიზეზები.  
— კი, მაგრამ, არ ეცადეთ მანევრითმანეთს ასცდნოდით?  
— როგორ არა, — უპასუხა პირველმა მფრინავმა, — მე ზიგზაგით მივდიოდი.  
— მერე?  
— ეგეც ზიგზაგით მოდიოდა და მე რომ შეგონა, ზიგით მოდის-მეთქი, ეგ თურმე ზაგით მოდიოდა!..

— ვინ არის ეგ ოფიცერი? — ჰკითხა მეგობარს კურსანტმა.  
— ეგ „ფწ“-ს ინსტრუქტორია!  
— „ფწ“ რას ნიშნავს?  
— ფიზიკურ წვრთნას!  
— ეგ ჩვენთვის ყოველთვის ნიშნავდა ფიზიკურ წამებას!

\* \* \*

მთაში მცხოვრებმა ბავშვებმა დაინახეს ციდან ჩამოცვენილი ორმოცამდე პარაშუტისტი, რომელთაგან რამდენიმე მათს ეზოში ჩამოსტა. ბავშვები თივილსივლით შეცვივდნენ სახლში.  
— მამა, მამიკო! — ახარეს მამას პატარებმა, — ჩვენმა წერომ ახლა დიდი კაცები მოგვიყვანა!



\* \* \*

მოხდა ისე, რომ ოფიცერმა სწორედ მაშინ დახარა თავი, როდესაც მტრის ნაზიდან მომქროლავმა ჭურვმა ზედ გადაუფრინა და მის უკან მდგომ ჯარისკაცს თავი წააგლიჯა!..  
— როგორც ხედავთ, — წარმოთქვა ოფიცერმა, — ზრდილობიანი კაცი არასოდეს წააგებს თავს!



სამხედრო-საზღვაო კოსპიტალში მისულ მნახველს აწვეწეს პალატა, სადაც სულიერად დაავადებული მეზღვაური იწვა.  
— აქ, — უთხრა სტუმარს მთავარმა ფსიქიატრმა, — უცნაური ავადმყოფი გვიწევს: სულ იმის ცდაშია, როგორმე ავიამზიდი მომიდოს!..  
— მერე, რაღას უყურებთ?! — გაიციხა სტუმარმა, — ადვილად დაუკმაყოფილოთ სურვილი: იყიდეთ ავიამზიდი!  
— შეუძლებელია! მეტისმეტად ძვირს აფასებს! — განმარტა ფსიქიატრმა.

გამზე საზეიმო განწყობილება სუფედა. უფროს ზემდეგს მეთხოვეტე მედლით აჯილდოებდნენ წყალობულთა გადარჩენისათვის. უცბად შეკვილემა გაიხსმა. ცერემონიის დამსწრე ერთი მანდილოსანთავანი ზღვაში გადავარდა. ყველა სულგანაბული მიაჩერდა ზღვის გმირს და მოუთმენლად ელოდა მისი სიამამის ახალ დადასტურებას. მან მედიდურად შეისწორა მკერდზე ჯინჯილები და მხრები აიჩინა: — ვწუხვარ, მაგრამ, როგორც ხედავთ, ახალი მედლისთვის ადგილი აღარ დარჩა!



\* \* \*

სერჟანტმა ჯარისკაცი გამოიჭირა, რომელსაც ერთი დიდი შესხნილი ჰქონდა.  
— ეჰ! — წაუქილიკა სერჟანტმა, — მზის აბაზანებს იღებ, არა?

ინგლისურიდან თარგმანა გიორგი ჯაბაშვილმა ილუსტრაციები ჯ. ლოლუასი